



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF VANI



განკარგულება:გ-65.65230394
 თარიღი:08/02/2023

**ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შპს „მიმდემ“-თან
 სახელმწიფო შესყიდვების თაობაზე ხელშეკრულების
 დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.გ“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა ვანის მუნიციპალიტეტის მერიას დადოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „მიმდემ“-თან შემდეგი მიზნით:

- საპრასიის ადმინისტრაციულ ერთეულში, საპრასია-რომანეთის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- გადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში, გადიდის ტურისტულ ზონამდე მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- ტობანიერის ადმინისტრაციულ ერთეულში, ტობანიერი-კუშუბოურის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (მესამე ეტაპი);
- დიხაშოს ადმინისტრაციულ ერთეულში შიდასაუბნო საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (ჯვარისერის მიმართულებით, შენგელიების უბანი (ჰესის სათავე ნაგებობასთან ჩასასვლელი));
- ქალაქ ვანში საავტომობილო გზების რეაბილიტაცია (ბაზრის შემოვლითი გზა, შაფთაი ცურის ქუჩა);
- ქალაქ ვანში საავტომობილო გზების რეაბილიტაცია (გიორგაძის ქუჩის შიდა გზები, წერეთლისა და ჩახუნაშვილების, კეკელიძის და ჩახუნაშვილების, 26 მაისის ქუჩის მეორე ჩიხის დამაკავშირებელი საავტომობილო გზები);
- სალხინოს ადმინისტრაციულ ერთეულში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია აბრამიძეების უბანში;

2. ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება შეადგენს 2 536 081(ორი მილიონ ხუთას ოცდათექვსმეტი ათას ოთხმოცდაერთი) ლარს.

3. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი სამტრედია, ძმები ნინუების ქუჩა N1).

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

